პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ივნისი, შაბათი, 1988 წ.
№ 113 (9780) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფიზკულტურა მისალებ გამოცდებზე

„ლოკომოტივის“ სტადიონზე ნორმატივების ჩამბარებელთა გარდა მოვარჯიშეებსაც შეხვდებით. ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისელ ჯუმბერ თანაშვილს, რომელიც თავის ორ ქალიშვილს და შვილების ორ მეგობარს სისტემატურად ავარჯიშებს ჩასათვლელ ნორმატივებში.

გადაწყვეტილების ექო

ვინ რას ფიქრობს...

▲ **სისტემატურად** ვადევნებდი თვალს თქვენს გაზეთს და ვიცი, რომ უმრავლესობა მხარს უჭერდა და უჭერს ჩათვლას ფიზიკურ მომზადებაში. მაგრამ მინდა გითხრათ, აბიტურიენტები, რომლებიც ჩათვლას მიიღებენ, სარგებლობენ ძალიან უმნიშვნელო შეღავათით. მართებული იქნებოდა აბიტურიენტებს დამატებოდათ ერთი ქულა მაინც. ეს მომავალში უნდა გაითვალისწინონ. მე მყავს ორი ვაჟი 19 და 17 წლის. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი, იქნებოდა თუ არა ჩათვლა ფიზიკურ მომზადებაში, ჩემს ბიჭებს ადრევე ჩავუნერგე ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარული, რაც ეხლა გამოგვადგა.

ანრი ტაბატაძე,
თბილისი.

▲ **ადრე,** როცა მსჯელობა მიდიოდა ფიზიკურ მომზადებაში გამოცდა ყოფილიყო თუ ჩათვლა, მე შეშფოთებული ვიყავი, გამოცდის შემთხვევაში მართლა ნაადრევი იქნებოდა. ახლა, როცა საკითხი გაირკვა, ვთვლი, რომ ყველაფერი სწორად და მართებულადაა გადაწყვეტილი. ნორმატივები ისეა გაიოლებული, დატვირთვა სულაც არ მიგრძვნია, პირადად მე იგი ორ დღეში მოვამზადე.

კახა კახიშვილი,
გორის რაიონი, სოფ. მეღვრეკისი.
აბიტურიენტი.

▲ **თქვენს** გაზეთში გამოქვეყნებული ათი გაკვეთილი ძალიან დამეხმარა. ახლა თავისუფლად ვასრულებ ნორმატივებს, მაგრამ ვარჯიში არ შემიწყვეტია. გამოგიტყდებით, ასე მხნედ და ხალისიანად თავს ადრე არ ვგრძნობდი.

მანანა დიასამიძე.
თბილისი, აბიტურიენტი.

● როგორ მიმდინარეობს აფხაზეთში ველოსპორტის კვირეული და როგორ დაიწყო ცურვის კვირეული?

რედაქცია დაუკავშირდა აფხაზეთის სპორტსახკომს. აი, რა თქვა თავმჯდომარის მოადგილემ ამირან ზუხბაიამ:

ველოსპორტის კვირეულს ჩვენთან ყველაზე მეტი მონაწილე მაინც სკოლამდელ დაწესებულებებში ჰყავს. თითქმის ყველგან ჩატარდა ველოსპორტის ზეიმი, მოკლე დისტანციებზე მოეწყო შეჯიბრებები ორთვლიანი და სამთვლიანი ველოსიპედებით, რამაც ნორჩების დიდი ინტერესი გამოიწვია. ველოსპორტის კვირეულს მიუძღვნეს თავიანთი ღონისძიებები შრომითმა კოლექტივებმა, მოეწყო რამდენიმე გადარბენა. ქუჩებში და დასვენების ზონებში ბევრგან შეხვდებით ველოტურისტებს.

ცურვის კვირეულისთვის ყველა განსაკუთრებით მოემზადა. ზღვის სანაპიროზე მოეწყობა მასობრივი გაცურვები, შემოშავებულია საგანგებო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ცურვის მასობრივ შესწავლას, ისე მშდ ნორმატივის ჩაბარებას. ცურვის კვირეულში შექმნილი გამაჯანსაღებელი და ცურვის შემსწავლელი ჯგუფები შემდგომშიც განაგრძობენ მუშაობას. ტყვარჩელში და გალში მოგვარებულია მოზარდებისა და ცურვის მოყვარულების ტრანსპორტით ორგანიზებული გადაყვანა მასობრივი ცურვისთვის ხელსაყრელ ადგილებზე.

თამაზ იმნაიშვილის ოთხი მედალი

იუგოსლავიის ქალაქ ოსიეკში მესტენდურეთა შეჯიბრებაზე ორი თასი გათამაშდა — ევროპისა და მსოფლიოსი. მრგვალ სტენდზე სროლაში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისელი თამაზ იმნაიშვილი („დინამო“).

პირად პირველობაში ძირითადი სერიების შემდეგ იმნაიშვილმა და კიდევ სამმა სპორტსმენმა 193-193 ქულა მოაგროვეს. მათზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ იტალიელ ენიო ფალკოსა (196) და რიგელ ბორის ტიმოფეევს (195).

ფინალში უშეცდომოდ მხოლოდ იმნაიშვილმა ისროლა და 218 ქულით III ადგილი დაიკავა. მართალია, ფალკოსა და ტიმოფეევს თითო ცდა გაუცუდდათ, მაგრამ პოზიციები მაინც შეინარჩუნეს. აღსანიშნავია, რომ ქართველ მესტენდურეს ბოლო 75 გასროლიდან ერთხელაც არ აუცდენია სამიზნისთვის.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა ტიმოფეევი მხოლოდ პირად პირველობაში გამოიყვანეს, გუნდში კი ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე ჩერკასოვი, ფრუნზელი სერგეი აქსიუტინი და ქალთა შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სვეტლანა დემინა დაასახელეს. ეს უკანასკნელი ტიმოფეევზე გაცილებით უარესად გამოვიდა და ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა პირველი ადგილი იტალიელებს დაუთმო როგორც ევროპის, ისე მსოფლიო თასის გათამაშებაში.

რაც შეეხება თამაზ იმნაიშვილს, იგი ოთხი მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა შინ: აქედან ორი ჯილდო ვერცხლისაა (გუნდური მეორე ადგილებისთვის), ორი კი — ბრინჯაოსი (პირადი პირველობა).

ტელეტაიმი — მაკიტაველი



მადრიდი. მძლეოსანთა აქ გაძართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენა მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა (200-მეტრიან დისტანციაზე) ამერიკელმა კელვინ სმითმა — 10,18. გამარჯვებულს წამის მეასედით ჩამორჩა კანადელი დესაი უილიამსი. სიმაღლეზე ხტომაში ყველას პატრიკ შებერგმა (შვეცია) აჯობა — 231 მ.

ლონდონი. ათი ეტაპის შემდეგ ბრიტანეთის მრავალდღიან ველორბოლას საბჭოთა სპორტსმენი ვასილი ყდანოვი ლიდერობს. მას 1 წუთითა და 05 წამით ჩამორჩება ჩეხოსლოვაკიელი პეტრ პრიშკრილი და 5 წუთზე მეტით — ინგლისელი სტივ ჯონსი.

ელვა-ინფორმაცია

მოსკოვის მახლობლად მიტიშჩის სახროლეთზე, დაიწყო ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატი. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში მთავარი ბრძოლა ორ ცნობილ სპორტსმენს, საკავშირო ნაკრების ვეტერან როსტროველ მ. დობრანჩევასა და თბილისელ ნ. სალუქვაძეს შორის გაიმართა. ძირითად სერიაში ორივემ 592-592 ქულა მოაგროვა. ფინალში უკეთ გამოვიდა დობრანჩევა — 692 ქულა. სალუქვაძე გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

17-22 ივნისს თბილისი უმასპინძლებს სსრ კავშირის პირველობას — რადიოსპორტში, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვთა სპორტულ-ტექნიკური სკოლების აღსაზრდელები. 21-25 ივნისს კი რუსთავში ჩატარდება ქვეყნის ჩემპიონატი საავტომობილო მრავალჯიდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა ზემოაღნიშნული ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. მოისმინეს საქართველოს დოსაფის რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-მ. ნანეიშვილის ინფორმაცია. ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ასპარეზობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების ხელშეწყობა, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი სტუმრებთან ჩაატარებს საშეფო მუშაობას.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ს. რიგვავამ.



11 და 12 ივნისს

მოახლოვდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი, თუმცა რაღა ეტაპი. დარჩა სუპერფინალური მატჩების სერია, რომელიც საქართველოს ახალ ჩემპიონს დაასახელებს.

კანდიდატი ორია, ორივე თბილისიდან — „სინათლე“ და სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისინი 11 და 12 ივნისს ერთმანეთს კიროვის სახელობის პარკის ჭაბუკთა კალათბურთის სასახლეში შეხვდებიან. თუ საჭირო გახდა (ეს იმ შემთხვევაში თუ პირველი ორი მატჩის შემდეგ ანგარიში თანაბარი იქნება) 13 ივნისს იქვე მესამე გადამწყვეტი შეხვედრა დაინიშნება.

მატჩების დასაწყისი 16 საათზე.

მიზანი — ოლიმპიადა

ლენინგრადი. აქ დაიწყო მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირსა და კუბას უძლიერესი შემადგენლობები გამოჰყავთ. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული საბჭოთა მოკრივეები ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსს განიმტკიცებენ. ამიტომ ლენინგრადის ტურნირს სპეციალისტებიცა და თავად სპორტსმენებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. შეჯიბრება გახსნეს 51 კგ წონის მოკრივეებმა. მსოფლიო ექს-ჩემპიონმა კუბელმა პედრო რეიესმა თურქი ვედატ ტუტუკი დაამარცხა, სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ანატოლი ფილიპოვმა კი ტაილანდელი პონსუპა ტოსაკა.

ტურნირში სეულის საგზურისათვის თბილისელი მოკრივე ა. კაზანჯიანიც (54 კგ) იბრძვის. მას პირველ შეხვედრაში საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა — მსოფლიოს თასის მფლობელი მ. მარტინესი, რომელმაც რა არ იღონა, რომ თავი დაეღწია მეტოქის ძლიერი იერიშებისთვის, მაგრამ კაზანჯიანმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა და გაიმარჯვა.

ნახევარფინალში ა. კაზანჯიანის მეტოქე ჩელიაბინსკელი ს. უფიმცევი იქნება.

„დედა, მამა, მე — ტურისტული ოჯახი“

ლიხნი ტბაზე გამართული პირველი რესპუბლიკური შეჯიბრების „დედა, მამა, მე — ტურისტული ოჯახი“ მონაწილეთა ვნებათაღლვით არც ერთ ასპარეზობას არ ჩამოუვარდებოდა.

10 ოჯახი ეჯიბრებოდა ერთმანეთს ტურისტულ ესტაფეტაში. ყველაზე რთული ეტაპი მაინც „მდინარის გადალახვა“ გამოდგა.

— მამა, როგორ ჩამოვარდი თოკიდან, — უსაყვედურა ცხინვალელ სიმონ გალეგაშვილს შვილმა. ოჯახის თავმა ხმის ამოუღებლად თვალი აარიდა ოთხ შვილს და მეუღლეს მზია მაქაცარიას. გალეგაშვილების ოჯახი ერთ-ერთი უძლიერესია რესპუბლიკაში. ამიტომ იყო, რომ ასე მტკივნეულად განიცადეს მარცხი...

შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ ბათუმელი ეგოროვებისა და თბილისელი გავრილოვების ოჯახებს ყველა მონაცემები ერთნაირი აღმოაჩნდათ და I-II ადგილები გაიყვეს.

ლევან ჯაბაძის ტექსტი და ფოტო.

ბათუმის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი

ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა სპორტის ოსტატი შ. ჭეიშვილი.

საქართველოს ახალგაზრდული სპორტული თამაშები ● თანამედროვე ხუთჭიდი

„მძიმე“ ბილიკი და „ურჩი“ ბედაურები

ახლანდელი რესპუბლიკური შეჯიბრება IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით ჩატარდა და მასში კარსმომდგარ ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების ნაკრები გუნდის კანდიდატებიც ცდიდნენ ძალას. ასპარეზობის მაღალ დონეზე (ცხენოსნური კონკურის გარდა) მეტყველებს ის, რომ ჭაბუკმა სპორტსმენებმა არაფერში დაუთმეს იუნიორებს და მძაფრი ბრძოლა გაუმართეს 2-3 წლით უფროს მეტოქეებს. მეტიც, ფარიკაობაში ყველას დინამოელმა ჭაბუკმა დანილ ბიდბუნოვმა აჯობა. ცურვაში კი მისმა თანატოლმა ბორის კაცებინმა (პროფკავშირები) ისახელა თავი და საერთო ლიდერიც გახდა. არც სოხუმელმა ჭაბუკმა ა. ბელოუსოვმა გამოიჩინა უფროსებისადმი „მორიდება“ და სროლაში ტოლი არ დაუდო თბილისელ იუნიორ დიმიტრი გორდიენკოს („დინამო“). ამ სპორტსმენებმა ერთნაირი შედეგით — 196-196 ქულით დატოვეს ტირი. თუმცა აქ უკვე საერთო ლიდერობას დინამოელი დაეუფლა.

მძლეოსნური კროსი ის სახეობა ვახლავთ, სადაც მოასპარეზენი აოზიციებს იუმჯობესებენ. მოსალოდნელი იყო, რომ ლისის ტბის მიდამოებშიც, სადაც 3-კილომეტრიანი ტრასა გადიოდა, ასე მოხდებოდა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მზიანი ამინდი იყო, წინა დღეებში მოსულმა უხვმა ნალექებმა გარკვეული კორექტივები შეიტანა შედეგებში. საქმე ის იყო, რომ მზემ მთელ ტრასაზე ტენი ააორთქლა და სპორტსმენებს სუნთქვა უჭირდათ. ამიტომაც ეს მანძილი, რომელსაც ჩვეულებრივ 9,30 წუთის ფარგლებში გადიან, გამარჯვებულმა ვლადიმერ ლორთქიფანიძემ 10,13-ში დაფარა. საერთო ლიდერობას კი ისევ დ. გორდიენკო ფლობდა და როცა მან ცხენოსნურ კონკურში 878 ქულა შემატა თავის „ყულაბას“ (სულ 5083 ქულა). ამას მოლოცვები მოჰყვა. თუმცა, იყო ერთი სპორტსმენი — ი. შეტუხინი (პროფკავშირები), რომელსაც პრაქტიკული შანსი ჰქონდა ლიდერისათვის რომ გადაესწრო. ამისათვის მას კონკურში, სულ ცოტა, 1030 ქულა უნდა დაემსახურებინა. მაგრამ მისმა „რისლინგმა“ ურჩობა გამოიჩინა და მხედარმა 0 შეფასებით დაამთავრა ასპარეზობა. იუნიორთა შორის მეორე ადგილზე 4980 ქულით არმიელი რევაზ ლოხშვილი გავიდა, მესამეზე — დინამოელი ვლადიმერ ლორთქიფანიძე (4913).



ა. ბესკარავაინი.

სტარტზე მოპოვებულ ქულათა საკმაო მარაგს ჭაბუკმა კაცებინმა დარჩენილ სახეობებშიც საათანადო რაოდენობა შემატა და თავის ასაკში პირველ ადგილზე დამკვიდრდა — 4850. თუმცა, მის გამარჯვებას, გარკვეულწილად, მუქარა შეუქმნა სოხუმელმა პ. კელერმა და აქაც ცხენოსნობას უნდა ეთქვა საბოლოო სიტყვა. მისი „მადამა“ კი საკონტროლო დროში ვერ „ჩაეტია“ და სოხუმელი სპორტსმენი მოიხსნა შეჯიბრებიდან — 0 ქულა. აქ მომდევნო ადგილებზე დინამოელი ი. დავიდოვი (4700) და სოხუმელი ა. ბელოუსოვი გავიდნენ (4691).

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ხუთჭიდელთა მხარდამხარ სამჭიდელი ჭაბუკებიც (სროლა, ცურვა, რბენა) გამოდიოდნენ სარბიელზე. აქ დინამოელმა კ. ბესკარავაინმ (2922) აჯობა ყველას, მეორე ადგილი ა. ბასისტის (პროფკავშირები 2860) ხვდა წილად, მესამეზეა დინამოელი თ. ჰასანოვი (2826).

გუნდური პირველი ადგილი „დინამო“ I-ის წევრებმა დაისაკუთრეს, შემდეგ არიან პროფკავშირელი და არმიელი ხუთჭიდელები.

სულ მალე ჩვენი ჭაბუკი ხუთჭიდელები და სამჭიდელები უფის სარბიელზე გამოვლენ, სადაც 1-7 ივლისს ჩატარდება ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების ხუთჭიდელთა შეხვედრები და ამდენად თბილისის სტარტები ძალზე სასარგებლო იყო მათთვის.

უშანგ ჯიჯინაძე.

ფინალში გავიდნენ

ბროდნო, დეპეშით, („ლელოს“ სპეც. კორ.). ბელორუსიის ამ ქალაქში მიმდინარეობს მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობა — „თეთრი ეტლის პრიზის“ გათამაშება პიონერრაზმეულთა გუნდებს შორის. საქართველოს ღირსებას იცავენ რესპუბლიკური გათამაშების გამარჯვებულნი ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეები (დაფების მიხედვით): შოთა კუპუხიძე, ალექსანდრე კაშაშვილი, კახა ყორყოლიანი, გიორგი ნეფარიძე, სოფიკო ნიკოლაძე.

სულ შეჯიბრებაში მონაწილეობს 18 გუნდი, რომლებიც რამდენიმე ნახევარფინალურ ჯგუფად გაიყვნენ. გთავაზობთ ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა შედეგებს ნახევარფინალში: ბელორუსია — 5:0, უზბეკეთი — 4:1, მოლდავეთი — 4:1, მოსკოვი — 3:2, უკრაინა — 2,5:2,5. ამ შედეგებით ქუთაისელთა კოლექტივი ნახევარფინალურ ჯგუფში I ადგილზე გავიდა და ხარკოვის, მოსკოვის, ლენინგრადის, ჩელიაბინსკის, კედაინიას (ლიტვა) გუნდებთან ერთად ფინალურ ეტაპში მონაწილეობის უფლება მიიღო. ჩვენი მოჭადრაკეების ინდივიდუალური შედეგები ნახევარფინალურ ტურნირში: კუპუხიძე — 3 ქულა (5-დან), კაშაშვილი — 4,5, ყორყოლიანი — 3,5, ნიკოლაძე — 5.

თენგიზ ხარლამიდი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ

ᲠᲝᲢᲐᲢᲐᲣᲠᲘ გაიმართა სარაინონო შეჯიბრება ფეხბურთში სკოლების გუნდებს შორის ადგილობრივ გაზეთ „წინსვლის“ გარდამავალ თასზე.

ფინალში „ტყიბულჰესის“ გუნდმა სძლია „თავასის“ წარმომადგენლებს 5:3 და გარდამავალ თასს დაეპატრონა.

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲣᲢᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ ᲛᲔᲮᲐᲜᲫᲠᲔᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ თბილისის პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში. გუნდური პირველობა მოიგო 26 კომისრის სახელობის რაიონის სახანძრო ნაწილმა. მეორე ადგილზეა სახანძრო სამმართველოს სასწავლო ცენტრის გუნდი, მესამეზე — გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის მეხანძრე სპორტსმენთა კოლექტივი. საიერიშო კიბით კოშკზე ასვლაში პირველი იყო სამველ არუთინიანი (26 კომისრის რაიონის გუნდი). მანვე თანაგუნდელ მერაბ მიქელაძესთან ერთად ყველას აჯობა გასაშლელი კიბით შეჯიბრებაში. წინაღობებით 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში უძლიერესი იყო იური ორლოვი (გ. დიმიტროვის სახელობის ქარხანა).

ᲐᲠᲩᲔᲛ ᲛᲐᲚᲐᲘᲐᲜᲪᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲘᲣᲤᲔᲜᲔᲑᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲔᲑᲡ?

ᲠᲘᲭᲕᲔᲑᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐᲖᲔᲪ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ დაგვიჩივლია სპორტული ბაზების უკმარობაზე, თუმცა ისიც ხშირად აღგვინიშნავს, რომ არსებულ მოედნებსაც ხეირიანად ვერ ვიყენებთო. ამაში ერთხელ კიდევ ნათლად დავრწმუნდით, როცა გასულ კვირას სპორტულ ბაზებს ვეწვიეთ. დღეს ორ მათგანზე გვინდა გესაუბროთ.

პირველად „მთაწმინდის“ კულტურისა და დასვენების პარკს ვესტუმრეთ. მწვანეში ჩაფლულ სპორტულ კომპლექსზე სიჩუმეს დაესადგურა. კალათბურთის ადამისდროინდელ ფარებს და ტრიბუნებს აშკარად ეტყობა, რომ მათ კეთილმოწყობაზე დიდი ხანია არავის უფიქრია. გასახდელსა და საშხაპეზე ხომ ოცნებაც ზედმეტია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ პარკის მარტივი ტიპის სპორტულ მოედანს ბურთი და ახალგაზრდების ყიჟინა მონატრებია...

კომპლექსთან ახლოს მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილია გამოყოფილი, მაგრამ იქაც არავინ იყო, გარდა გამქირავებელი პუნქტის მუშაკებისა. არადა, აქ შეუძლიათ ერთდროულად 20 კაცს მოემსახურონ. წამოსვლის წინ რამდენიმე ახალგაზრდას გავესაუბრეთ.

პარკის ხშირი სტუმრები ვართ, მაგრამ აქ თუ მაგიდის ჩოგბურთის თამაში შეიძლებოდა, ნამდვილად არ ვიცოდითო, — გვითხრეს. სხვათა შორის, ისიც არავინ იცის, რომ ბიბლიოთეკის შენობაში საჰადრაკო კლუბია მოთავსებული. ისიც ცარიელი დაგვხვდა. პარკში ოდნავი მინიშნებაც არსად არის, თუ რომელი სპორტული კუთხე სად მდებარეობს. თვალსაჩინოების ძალა და ეფექტიანობა პარკში დიდი ხანია მივიწყებულია.

სანამ დავემშვიდობებოდეთ მწვანე საუფლოს, გვინდა კიდევ ერთ, უყურადღებობით გავერანებულ სპორტულ სარბიელზე გავამახვილოთ ყურადღება. ეს არის ნახერხმოყრილი ღია საჭიდაო. დღეს მას მოედანი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ. უწინ აქ საინტერესო შერკინებები იმართებოდაო, გვითხრეს პარკის მესვეურებმა. თვალწინ უნებურად დავით კლდიაშვილის ეკვირინე ქამუშაძე დაგვიდგა, ახალმოყვანილ რძალს თავისი ოჯახის ავლა-დიდებას გვქონდა-გვექნებათი რომ აცნობს.

რაც იყო, კარგია, თუ გვექნება— მით უკეთესი, მაგრამ საოცარია, დღეს რა გვიშლის ხელს? ერთი რამ ნამდვილად გვწამს და გვჯერა — ბედისანაბარად მიტოვებულ სარბიელს კეთილმოწყობა სჭირდება — გასუფთავება, შემოკავება, ახალი ნახერხის დაყრა, ხოლო საინტერესო სპორტული ღონისძიებების ჩატარებას — ნამდვილი გულშემატკივარი და ორგანიზატორი (პარკს უკვე რამდენიმე თვეა ფიზკულტურის მეთოდისტი არ ჰყავს), მაშინ ვინ იცის, შაბათ-კვირას იქნებ მთამწინდაზეც კვლავ აჭყიტინდეს ზურნა...

რატომ მიუხარიათ „ბურევესტნიკში“?

ᲐᲮᲚᲐ მეორე ობიექტს ვეწვიოთ. „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსი დიდი ხანია დედაქალაქელთა ჯანმრთელობის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა. ბევრი ადამიანი იკაჟებს აქ ორგანიზმს. ყველაზე მეტი მსურველი კომპლექსს კვირაობით ჰყავს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან კვირა „ღია კარის დღედაა“ გამოცხადებული. იმ დილითაც კომპლექსის ცისფერი ბილიკები 25-მდე მოცურავეს ჰქონდა „დაპყრობილი“. აღდგენით ცენტრშიც ხალხმრავლობა იყო, მაგრამ მთავარ ეპიცენტრს მაინც სპორტული დარბაზი წარმოადგენდა. აქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა ორი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს მინიფეხბურთში. რიგის მოლოდინში პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები გულშემატკივრობას უწევდნენ უნივერსიტეტელ კოლეგებს. ერთ-ერთი გუნდის კარის დარაჯს — პროფესორ გიორგი მაჩაბელს გავესაუბრეთ: კვირაში ორჯერ მოვდივართ ამ დარბაზში, — გვითხრა მან. — ხუთშაბათ საღამოსა და კვირა დილით. კომპლექსის ხელმძღვანელობა დარბაზთან ერთად საშხაპესა და საცურაო აუზსაც გვითმობს. და განა მარტო ჩვენ? ამიტომაც არის, რომ კომპლექსში ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქტიური დასვენებისთვის აქ ყველა პირობაა...

კარგია, რომ დედაქალაქს ასეთი სპორტული კომპლექსიც აქვს.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲔᲑᲘ

„ᲙᲠᲘᲕᲘ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲐ“

ᲑᲝᲚᲝ ხანს არაერთმა ცხაკაიელმა ჭაბუკმა ისახელა თავი მოკრივეთა რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებაში. ნუ დაგვავიწყდება, რომ რამდენიმე წლის წინათ სპორტის ეს სახეობა საერთოდ არ არსებობდა ამ რაიონში. მართალია, კრივის წამოწყებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ თამაზ ვახანიას, მაგრამ მას მხარში უდგას რამდენიმე ჩინებული ენთუზიასტი. მათ შორის არის შოთა ჯავახიაც.

შოთა ხალიჩების კომბინატში რემონტიორთა ბრიგადის ბრიგადირია. დილიდან საღამომდე დასტრიალებს დაზგა-დანადგარებს, ერთი წუთით არა აქვს მოსვენება, თითქმის მთელ კომბინატს ემსახურება მისი ოთხკაციანი ჯგუფი. თვითონ ბრიგადირს ჩინებული ხელი აქვს, მეგობრები „რკინის მკურნალს“ ეძახიან. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი ნიადაგ პროფტექნიკური სასწავლებლის დარბაზისკენ მიიჩქარის. იქ პატარები ელიან.

შოთა დიდი სპორტსმენი არ ყოფილა. კრივს ქუთაისში ეზიარა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბიჭი ვახტანგაძე ავარჯიშებდა. რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე პრიზიორთა შორის მოხვედრილა, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს გამოსულა შავი ზღვის ფლოტის პირველობაზე. ეს იყო და ეს. დემობილიზაციის შემდეგ აქტიურ სპორტს თავი მიანება და ზეინკლად დაიწყო მუშაობა. თითქოს ახალგაზრდობის წლებს ჩაბარდა რინგზე გატარებული წუთები, რადგან ცხაკაიაში კრივის არსებობის ჩამი-ჩუმი არ იყო.

1982 წელს თამაზ ვახანიამ კრივის პირველი ჯგუფი გახსნა. შოთა ჯავახიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — მხარში ამოდგომა და თანაშემწეობა შესთავაზა მწვრთნელს. შ. ჯავახია მალე დაეუფლა მწვრთნელის პროფესიას. კარგად აუღო ალღო ბავშვის ფსიქოლოგიას და გულისხმიერი სპეციალისტი დადგა. თამაზ ვახანიას, შოთა ჯავახიას და მურმან თულაძეს აღზრდილები ახლა საკავშირო ნაკრების წევრები არიან — როინ ბიკვაიძე, აქვსენტი ქაჩიბაია, გოჩა ბერუაშვილი, კობა ჯალაღონია და სხვები. თავად შოთას ვაჟი — შოთა ჩინებული მოკრივეა. იგი საქართველოს ჩემპიონია. უმცროსი ვაჟი ჯერ მხოლოდ VIII კლასშია, მაგრამ მამა მასაც უნერგავს კრივისადმი სიყვარულს.



— კრივი ჩემთვის ყველაფერია — თქვა შოთამ, — იგი გატაცებით მიყვარს. ხომ არ გგონიათ რაიმე დიდი ანაზღაურება მქონდეს, მხოლოდ ერთი ჯგუფი მყავს, მაგრამ ჩემი და სხვისი ბავშვები რამ გაყო. სამივე მწვრთნელი ერთად ვმუშაობთ. მთელ დღეს კომბინატში ვატარებ, მაგრამ დამაშვრალს დაღლილობა დარბაზამდე არ მიმყვება. აქ სხვა გატაცებაა, სულ სხვა სიხარული. განსაკუთრებით სასიამოვნოა პატარებთან მუშაობა, როცა ხედავ შენს თვალწინ როგორ იზრდება, როგორ იხვეწება, როგორ ყალიბდება მომავალი სპორტსმენი. როგორც ვთქვი, ჩემი პროფესია არ მაძლევს საშუალებას მეტი დრო დავუთმო კრივს, არადა ძალიან კი მინდა ჩემს აღზრდილებს თან ვახლდე დიდ შეჯიბრებებში.

შოთა ენაძუნწი კაცია. ძალიან ცოტას ლაპარაკობს საკუთარ თავზე. მთხოვა — ჩემი ქება არ გამოგივიდესო, უფრო თამაზ ვახანიასა და მურმან თულაძეზე დაწერეო, ისინი იმსახურებენ კარგ სიტყვასო... უპრეტენზიო, ჩუმი, ალალმართალი, კაი კაცობის ეტალონი — ასე დამიხასიათეს იგი ცხაკაიას სპორტკომიტეტში, ასეთია იგი თავის კოლექტივში, ამაში ჩვენც დავრწმუნდით, როცა გავიცანით იგი.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲫᲕᲐᲜᲘᲐ.
„ლელოს“ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ.

ცხაკაია.

ევროპა, ევროპა...

ბონი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყო ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩები.

ამ დიდ შეჯიბრებას უამრავი პრობლემა ახლავს, წმინდა სპეციფიკური საფეხბურთო საკითხების გარდა, გათამაშების ორგანიზატორებს სხვაც ბევრი აქვთ მოსავლელი.

კვლავ და კვლავ ერთ-ერთ პირველ პრობლემად დგას უხიფათობის უზრუნველყოფის საკითხი. ფინალური ჩემპიონატის მატჩებზე უცხოეთიდან ელიან 100 ათასზე მეტ გულშემატკივარს. გფრ-ის პოლიციამ ინგლისიდან მოიწვია თავისი იქაური კოლეგები, რათა „ადგილის კურდღელი ადგილის მწვანარმა დაიჭიროს“ და ინგლისელ ხულიგანთა ექსცესებიც, უპირველესად, თვით ინგლისელმა დამცველმა რაზმებმა აღკვეთონ. თუ ეს არ მოხდა, როგორც წერენ, ინგლისის ნაკრების მატჩები შეიძლება ხულიგნობისა და ძალმომრეობის უმაღლეს მწვერვალებად იქცეს.

თამაშები გფრ-ის რვა სტადიონზე ჩატარდება და ყველგან საგანგებო ზომებს მიმართავენ უხიფათობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, კიოლნში, დიუსელდორფსა და გელზენკირხენში მატჩებს დაესწრებიან პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები, თითოეული ორნახევარი ათასი კაცის შემადგენლობით. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰერბერტ შოორმა. მან გულშემატკივრებს მოუწოდა შინ დატოვონ თავიანთი აგრესიული ემოციები და აქტიური დახმარება გაუწინ პოლიციურ რაზმებს. „სრულიადაც არა გვაქვს სურვილი ჩემპიონატის მატჩები პოლიციის ტოტალური ზედამხედველობით მიმდინარეობდეს“.

დასავლეთ გერმანიაში ჩასვლის შემდეგ უკანასკნელი საწვრთნელი მატჩები გამართეს ფინალისტებმა. საბჭოთა ნაკრები შტუტგარტიდან 15 კილომეტრის დაცილებით დაბანაკდა რეიტის სპორტული სკოლის ბაზაზე. ჩვენმა ფეხბურთელებმა ადგილობრივ სამოყვარულო გუნდთან ორმხრივი თამაში გამართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0. იტალიელმა ფეხბურთელებმა მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ ახალგაზრდულ გუნდთან ითამაშეს და ანგარიშით 13:0 გაიმარჯვეს. აღნიშნავენ, რომ იტალიის ნაკრებმა პირველი ტაიმი იმ შემადგენლობით ჩაატარა, რომლითაც იგი გფრ-ის გუნდთან აპირებდა თამაშს. ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა თავიანთი სპარინგ-მატჩი ერთ-ერთ სამოყვარულო კლუბთან ანგარიშით 8:1 მოიგეს.

დაამთავრა მოსამზადებელი საქმიანობა დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა ფოსტამ. კარგადაა ორგანიზებული ჩემპიონატის სიახლეთა სატელეფონო სამსახური, რომელიც ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კიდევ ორ დღეს იმუშავებს. ყოველ მსურველს შეუძლია აკრიფოს სპეციალური ნომერი, მოისმინოს ყველა სტადიონზე მომხდარი ახალი ამბები, კომენტარი, აგრეთვე, მოსალოდნელ ღონისძიებათა პროგრამა.

ადგილობრივი მეტეოროლოგები იუწყებიან, რომ ჩემპიონატის დღეებში მოსალოდნელია წვიმები (ტემპერატურა დაახლოებით 17-20 გრადუსი).

გუშინ დიუსელდორფში შედგა ჩემპიონატის საზეიმო გახსნა და სასტარტო მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდებს შორის. საზეიმო გახსნაზე ჩამოვიდნენ მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტი ვაიცზეკერი. კანცლერი კოლი, საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი, სადღესასწაულო სანახაობებში მონაწილეობა მიიღო 1500 სპორტსმენმა.

8 ივნისს კანცლერმა კოლმა ბონში მიიღო ევროპის ჩემპიონატის ყველა მონაწილე გუნდის წარმომადგენლები, სსრ კავშირის დელეგაციას ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. სიმონიანი. კანცლერს სამახსოვროდ გადასცეს გუნდების მაისურები. ნაკრების მოთამაშეთა ავტოგრაფებით. როგორც იტყობინებიან, ეს სუვენირები შემდეგ აუქციონზე გაიყიდება, და შემოსავალს მთლიანად გადასცემენ ობოლ ბავშვთა დახმარების ფონდს.



ფინალისტების საგანაცხადო სიები

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა ფინალისტთა საგანაცხადო სიები. ყოველი ფეხბურთელი თავის გუნდში იმ ნომრით ითამაშებს, რომელიც საგანაცხადო სიაშია მითითებული.

I ჯგუფი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. 1. იმმელი, 2. ბუხვალდი, 3. ბრემე, 4. კოლერი, 5. ჰერგეტი, 6. ბოროვკა, 7. ლიტბარსკი, 8. მათეუსი, 9. ფელერი, 10. ტონი, 11. მილი, 12. ილგნერი, 13. ვუტკე, 14. ბერთოლდი, 15. პფლიუგლერი, 16. ეკშტაინი, 17. დორფნერი, 18. კლინსმანი, 19. ზაუერი, 20. როლფი.

იტალია. 1. ძენგა, 2. ბარეზი, 3. ბელგომი, 4. კრავეროო, 5. ფერარა, 6. ფერი, 7. ფრანჩინი, 8. მალდინი, 9. ანჩელოტი, 10. დი აგოსტინი, 11. დი ნაპოლი, 12. ტაკონი, 13. ფუზი, 14. ჯანინი, 15. რომანო, 16. ალტობელი, 17. დონადონი, 18. მანჩინი, 19. რიციტელი, 20. ვიალი.

დანია. 1. რასმუსენი, 2. სივებაკი, 3. ბუსკი, 4. მ. ოლსენი, 5. ნილსენი, 6. ლერბიუ, 7. ჰელტი, 8. ფრიმანი, 9. ჰაინტეე, 10. ელკიაერი, 11. ე. ლაუდრუპი, 12. ლ. ოლსენი, 13. იენსენი, 14. ე. ოლსენი, 15. პოულსენი, 16. შმაიჰელი, 17. ბერგრეენი, 18. ერიქსენი, 19. კრისტენსენი, 20. ვილფორტი.

ესპანეთი. 1. სუბისარეტა, 2. ტომასი, 3. კამაჩო, 4. ანდრინუა, 5. ვიქტორი, 6. კალდერე, 7. სალინასი, 8. სანჩისი, 9. ბუტრაგენო, 10. ელოი, 11. გორდილიო, 12. ფერნანდესი, 13. ბუიო, 14. გალეგო, 15. ეისებიო, 16. ბაქერო, 17. ბაგირისტაინ, 18. სოლერ, 19. ბარტენ, ვასკესი, 20. ბოსალესი.

II ჯგუფი — ინგლისი

ინგლისი. 1. შილტონი, 2. სტივენსი, 3. სენსომი, 4. უზბბი, 5. უოთსონი, 6. ადამსი, 7. რობსონი, 8. სტივენი, 9. ბიორდსლი, 10. ლინეკერი, 11. ბარნსი, 12. უოდლი, 13. ვუდსი, 14. ანდერსონი, 15. მაკმაჰონი, 16. რეიდი, 17. ხოდლი, 18. ჰეიტლი, 19. რაიტი, 20. დოროგო.

ირლანდია. 1. ბონერი, 2. მორისი, 3. ხიუტონი, 4. მაკარტი, 5. მორანი, 6. ველანი, 7. მაკგრაფი, 8. ხოუგთონი, 9. ოლდრიჯი, 10. სტეპლტონი, 11. გელვინი, 12. კასკარინო, 13. ო' ბრაიანი, 14. კელი, 15 შიდი, 16. პეიტონი, 17. ბირნი, 18. შერიდანი, 19. ანდერსონი, 20. კვინი.

ჰოლანდია. 1. ვან ბრეკლენი, 2. ვან ტიგელენი, 3. ტროოსტი, 4. რ. კუმანი, 5. ვინტერი, 6. ვან არლე, 7. ვანენბურგი, 8. მიურენი, 9. ბოსმანი, 10. გულიტი, 11. ვანტ სხიპი, 12. ვან ბასტენი, 13. ე. კუმანი, 14 კიფტი, 15. კუვერმანსი, 16. ჰილე. 17. რაიკარდი, 18. სიუვრეინი, 19. კრიუზენი, 20. ვაუტერსი.

სსრ კავშირი. 1. დასაევი, 2. ბესონოვი, 3. ხიდიატულინი, 4. კუზნეცოვი, 5. დემიანენკო, 6. რაციი. 7. ალეინიკოვი, 8. ლიტოვჩენკო, 9. ზავაროვი, 10. პროტასოვი, 11. ბელანოვი, 12. ვიშნევსკი, 13. სულაქველიძე, 14. სუკრისტოვი, 15. მიხაილიჩენკო, 16. ჩანოვი, 17. დმიტრიევი, 18. გოცმანოვი, 19. ბალტაჩა, 20. პასულკო.

ᲐᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ?!

დიახ, გუერდის ავლით

ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ ფოთელ ფეხბურთელს ნუგზარ მიქაბერიძეს. ეს სპორტსმენი 1982 წელს თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს, შემდეგ იგი ლანჩხუთის „გურიაში“ თამაშობდა, კვლავ დაუბრუნდა თბილისის „დინამოს“, ახლა კი II ლიგის გუნდის შემადგენლობაში — ფოთის „კოლხეთში“ ვამოდის. ხმა გავრცელდა თითქოს ნ. მიქაბერიძე „კოლხეთში“ ჩაირიცხა დადგენილი წესების დარღვევით, საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს გვერდის ავლით, მისი ნებართვის გარეშე. ამის თაობაზე შეკითხვით მივმართეთ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ა. ჭკუასელს. მან შესაბამისი ახსნა-განმარტება მოგვაწოდა:

— ნუგზარ მიქაბერიძე წარმოშობით ფოთიდანაა, როგორც იცით, თავდაპირველად იგი თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, შემდეგ — ლანჩხუთის „გურიაში“, მერე თბილისის დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა გ. ზონინმა იგი კვლავ დაუბრუნა „დინამოს“, სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატის განაცხადშიც შეიყვანეს, დინამოელებთან ერთად ალეირშიც იმყოფებოდა ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად. შემდგომში ნ. მიქაბერიძე ისევ ლანჩხუთის „გურიას“ დაუბრუნდა, ფეხბურთის სამმართველომ იგი ლანჩხუთელთა შემადგენლობაში დაამტკიცა I ლიგის წლეულდელ საკავშირო გათამაშებაში.

ამასობაში ფოთის „კოლხეთის“ ხელმძღვანელობამ მოისურვა ეს ფეხბურთელი თავისთან გადაეყვანა, მაგრამ ფეხბურთის სამმართველომ მიიჩნია, რომ ნ. მიქაბერიძეს თავისი მომზადების დონის მიხედვით I ლიგის გუნდში შეუძლია ითამაშოს, სადაც რესპუბლიკას მეტ სარგებლობას მოუტანდა და ამიტომაც ფოთის „კოლხეთის“ ხელმძღვანელობას უარი უთხრა ამ ფეხბურთელის გადაყვანაზე.

ფოთის „კოლხეთის“ მესვეურებმა საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ მოახერხა საკავშირო ფეხბურთის სამმართველოში ნ. მიქაბერიძე თავიანთ შემადგენლობაში დაემტკიცებინა, ეს კი აშკარად არ შეესაბამება ჩვენს საფეხბურთო პრაქტიკაში დადგენილ წესს.

ნ. მიქაბერიძეს შეუძლია წარმატებით ითამაშოს I ლიგის გუნდში, ამ შემთხვევაში — ლანჩხუთის „გურიაში“. ჩვენი ფეხბურთისთვის ამჟამად ეს უფრო საჭიროა, მას აქ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

I ᲚᲘᲒᲐ

8 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIII ტურის შეხვედრები.

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა და ორივემ მარცხი განიცადა. ლანჩხუთის „გურიამ“ დუშანბეში ანგარიშით 1:2 წააგო „პამირთან“. ამ მატჩში დაწინაურდნენ მასპინძლები (მუჰამადიევი, 49-ე წუთი), საპასუხო ბურთი აკოფიანმა გაიტანა 81-ე წუთზე, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იმავე მუჰამადიევმა დააწინაურა თავისი გუნდი. გააფრთხილეს ლანჩხუთელი ფეხბურთელი ცომაია.

ბათუმის დინამოელებმა ტაშკენტის „ფახთაქორთან“ ფრედ დაამთავრეს პირველი ტაიმი — 1:1. ანგარიში გახსნა ტაშკენტელმა მიხელსმა, საპასუხო გოლი ბიგვავამ გაიტანა, 78-ე წუთზე კი ბელიალოვმა მეორედ აიღო დინამოელთა კარი — 2:1. გააფრთხილეს ბათუმის „დინამოს“ მეკარე ბალაძე.

შემდგომ, XIV ტურში ლანჩხუთელი ფეხბურთელები ტაშკენტში ითამაშებენ, ხოლო ბათუმის დინამოელები — დუშანბეში.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „შინიკი“ (იროსლავლი) 3:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:1, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — ცსკა 2:4, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:2, „უუბანი“ (კრასნოდარი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:1.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 11 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ სტ.	13	8	4	1	19-8	20
ცსკა	13	8	3	2	19-7	19
„პამირი“	13	7	5	1	22-11	19
„გეოლოგი“	12	7	2	3	16-12	16
ასკ რ.	12	6	2	4	17-14	14
„კოტაიკი“	13	6	2	5	17-21	14
„როსტსელ.“	12	5	4	3	17-12	14
ასკ „კარპატი“	12	6	1	5	20-11	13
„როტორი“	12	6	1	5	17-11	13
„ტავრია“	12	4	5	3	12-10	13
„ფახთაქორი“	13	4	5	4	15-15	13
„სპარტაკი“	13	5	2	6	18-23	12
„დაუგავა“	12	4	4	4	13-11	12
„გურია“	12	5	1	6	13-14	11
„კუზბასი“	13	5	1	7	9-17	11
„უუბანი“	13	4	3	6	14-19	11
„კოლოსი“	12	4	2	6	9-12	10
„შინიკი“	12	4	2	6	10-15	10
„ზარია“	12	3	4	5	14-14	10
„მეტალურგი“	12	1	5	6	4-15	7
„დინამო“ ბ.	12	3	0	9	8-16	6
„ზვეზდა“	12	0	4	8	9-24	4

II ᲚᲘᲒᲐ

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალური“ (რუსთავი) 2:1 (0:1).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 9 ივნისი.

„ტორპედო“: ჩხეიძე, პაპავა, ჩხაიძე, ბზიკაძე, ჭ. თევზაძე (ფრუიძე), შენგელია, კიკლიშვილი, გაბისკირია, მეგრელაძე, დარასელია, კაჭარავა (მალანია).

„მეტალურგი“: ქორიძე (ტოგონიძე), ნადირაძე, ავაქიანი, მანზიჩუკი, ჭასრაშვილი (ვასაძე), ხარჩილავა, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, არველაძე, მეშკოვი (ენდელაძე).

მსაჯი ა. ნამაზოვი (ბაქო).

სსრ კავშირის თასზე ოდესის „ჩერნომორეცთან“ გამარჯვების შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ ქომაგებს კვლავ დაუბრუნდა იმედი, რომ კოლექტივს შესწევს ძალა თანდათან დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები. ამ იმედით მოვიდნენ ისინი სტადიონზე რუსთავის „მეტალურგის“ ძლიერ გუნდთან თამაშის სანახავად. ცნობილია, რომ რუსთაველ ფეხბურთელებს ახლა საუკეთესო შედეგები აქვთ IX ზონაში.

სტუმრებმა, მართლაც, ძლიერად ჩაატარეს თამაშის პირველი ნახევარი და 35-ე წუთზე ა. კაპანაძემ გახსნა ანგარიში — 1:0.

„ტორპედომ“ შესვენების შემდეგ მნიშვნელოვნად მოუმატა ტემპს და ხელთ აიღო ინიციატივა. მასპინძელთა ერთ-ერთი იერიშისას გაბისკირიამ ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი, 82-ე წუთზე კი მეგრელაძემ კარგად დაამთავრა თავისი ინდივიდუალური გარღვევა — 2:1.

მატჩმა ცხადყო, რომ ქუთაისის „ტორპედოც“ და რუსთავის „მეტალურგიც“ ნამდვილ საბრძოლო ფორმაში იმყოფებიან, იმედია სწორედ ისინი შეინარჩუნებენ ლიდერთა პოზიციებს თავიანთ ზონაში.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

მეორე ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში გაიმართა VII ტურის შეხვედრები. თბილისის „შევარდენმა“სპი-მ ვოლესკის „ტორპედოს“ უმასპინძლა.

თამაში დაძაბულად, საინტერესოდ წარიმართა, მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ, 22-ე წუთზე ტორპედოელებმა თავიანთ საჯარიმოსთან ახლოს უხეშად ითამაშეს, ცხოვრებაშვილმა ჯარიმის დარტყმა ოსტატურად შეასრულა და ეფექტური ბურთი გაიტანა — 1:0. შემდგომში ტორპედოელმა შაგინმა მაღალ ნახტომში თავით გათანაბრა ანგარიში — 1:1.

მეორე ნახევარში თამაში კიდევ უფრო დაიძაბა. რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა მეკარე აბუსერიძეს. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კი ქვანია-უგრელიძის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დამთავრდა — 2:1.

მორიგ ტურში „შევარდენი“-სპი 12 ივნისს თავის მინდორზე ვოლგოდონსკის „ატომმაშს“ უმასპინძლებს. თამაში 16 საათზე დაიწყება.

VII ტურის მატჩი გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივი“-ომც-ს შორის დამთავრდა გოლთა გამარჯვებით — 3:1.

გაიმართა II ლიგის III ზონის X ტურის შეხვედრები. „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ლუჩი“ (აზოვი) 2:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:1, „ურალანი“ (ელისტა) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 3:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მერცალი“ (მახარაძე) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ანაპა) 2:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:1.

• • •

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში შეწყვეტილია. 8 ივნისს, სარეზერვო დღეს, შედგა გამოტოვებული მატჩი ერევნის „არარატსა“ და მინსკის „დინამოს“ შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 0:0.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ერევნელებმა — 2:1.

პროგნოზების ტყვეობაში

როგორც ყოველ დიდ შეჯიბრებას, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატსაც არ აკლია პროგნოზები.

გფრ-ის ერთ-ერთმა სპორტულმა გამოცემამ ერთმანეთს შეადარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდების საორიენტაციო შემადგენლობები და ამ ფრიად სათუო შედარების შედეგად გამარჯვება დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს მიაკუთვნა. საინტერესოა, რომ როგორც „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი ოლეგ კუჩერენკო იუწყება ჩემპიონატიდან, ბოლო 25 წელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს არც ერთხელ არ მოუგიათ ოფიციალური მატჩი იტალიის ნაკრებისთვის, ევროპის ჩემპიონატებზე კი ეს ორი გუნდი საერთოდ არ შეხვედრია ერთმანეთს. განვლილ მსოფლიო ჩემპიონატებში 1962 და 1978 წლებში ორჯერ აღინიშნა ფრე — 0:0, 1970 და 1982 წლებში გამარჯვებას იტალიელებმა მიაღწიეს — 4:3 და 3:1.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდების მატჩის პირდაპირი ტრანსლიაცია გუშინ ვიხილეთ ტელევიზიით და ახლა პრაქტიკული შესაძლებლობა გვაქვს ვთქვათ სწორი იყო თუ არა კონკრეტულად ეს პროგნოზი.

პროგნოზისტებს განსაკუთრებით უპირთ პირველი ჯგუფის მონაწილეთაგან ორი გამარჯვებულის დასახელება და თუ ვინმეს დანიის გუნდი აქ აუტსაიდერად მიაჩნია, თვით დანიელი გულშემატკივრები ამის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. მათი აზრით, დანიის ნაკრები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის გუნდს მოუგებს ანგარიშით 2:0.

პროგნოზები, ცნობილია, ძალზე საეჭვო საქმეა, მაგრამ ევროპის VIII ჩემპიონატზე მარდონაც ძალიან ძნელია იწინასწარმეტყველო რა მოხდება, ვინ მიაღწევს წარმატებას, ვინ სად წაიფორხილებ...

ბურთის მოგერიება მოუხდა მეკარე აბუსერიძეს. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კი ქვანია-უგრელიძის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დამთავრდა — 2:1.

მორიგ ტურში „შევარდენი“-სპი 12 ივნისს თავის მინდორზე ვოლგოდონსკის „ატომმაშს“ უმასპინძლებს. თამაში 16 საათზე დაიწყება.

VII ტურის მატჩი გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივი“-ომც-ს შორის დამთავრდა გოლთა გამარჯვებით — 3:1.

გაიმართა II ლიგის III ზონის X ტურის შეხვედრები. „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ლუჩი“ (აზოვი) 2:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:1, „ურალანი“ (ელისტა) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 3:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მერცალი“ (მახარაძე) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ანაპა) 2:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:1.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲗᲐᲡᲔᲑᲘ

ევროპის ზოგ ქვეყანაში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი უკვე დამთავრდა, ზოგან კი გრძელდება. გაიმართა, აგრეთვე თასის გათამაშების ფინალური მატჩები.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

27-ე ტური. „სპარტა“ — „დუნაისკა სტრედა“ 6:0. „ჰრადეც კრალოვი“ — „ბოჰემიანსი“ 4:1, „ინტერი“ — „ჟილინა“ 1:1, „ნიტრა“ — „ბანსკა ბისტრიცა“ 2:2, „ვიტკოვიცე“ — „სლავია“ 2:1, „ტრნავა“ — „პრეშოვი“ 2:0, „ოლომოუცი“ — „ბანიკი“ 4:2.

„სპარტა“	27	71-18	45
„დუკლა“	27	44-30	33
„ოლომოუცი“	27	48-35	32

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

ჩემპიონი გახდა ბერლინის „დინამო“, რომელმაც ლეიფციგის „ლოკომოტივთან“ თანაბარი ქულები დაგროვა. „დინამოს“ წარმატება ბურთების უკეთესმა სხვაობამ გადაწყვიტა.

ᲑᲣᲠ

ქვეყნის თასის ფინალი დასავლეთ ბერლინში გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ „აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი) და „ბოჰუმი“. გაიმარჯვა „აინტრაჰტმა“ — 1:0.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

თასის ფინალში „ანდერლეხტმა“ დაამარცხა — „სტანდარდი“ — 2:0.

(ᲩᲐᲙ. ᲘᲠᲣᲜ.)

მერვე შესწორება რეკორდების ცხრილში

ჯერ კიდევ შარშან, პრაღაში მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ (603 სანტიმეტრი), სერგეი ბუბკამ განაცხადა, რომ სულ მალე უმაღლესი მიღწევა 610 სანტიმეტრს მიაღწევსო. ამას რომ ამბობდა მსოფლიოს უძლიერეს ჭოკით მხტომელს, პირველ რიგში მხედველობაში, რა თქმა უნდა, თავისი თავი ჰყავდა.

და მართლაც ბრატისლავაში მიმდინარე გრან პრის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ბუბკამ პირველი ნაბიჯი გადადგა — თავისივე მსოფლიო რეკორდი 2 სანტიმეტრით გაუმჯობესა და ახალი მიღწევა 605 სანტიმეტრამდე აიყვანა. თანაც საინტერესოა, რომ სარეკორდო სიმაღლე მან პირველსავე ცდაზე დაძლია.

ეს იყო დონეცკელი მძლეოსნის მიერ შეტანილი მერვე შესწორება მსოფლიო რეკორდების ცხრილში. პირველი მსოფლიო რეკორდიც ბუბკამ ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში დაამყარა. 1984 წლის მაისს იგი 585 სმ-ზე გადახტა.

ჯერჯერობით საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია

კუალა-ლუმპური. კალათბურთელ ქალთა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა მეოთხე გამარჯვება მოიპოვა (დაამარცხა ჩინეთის ძლიერი გუნდი 93:80) და თავის ქვეჯგუფში პრაქტიკულად გაინაღდა პირველი ადგილი.

ასევე წინასწარ მოიპოვა შესარჩევი ტურნირის ფინალში თამაშის უფლება ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, რომელმაც მეოთხე წრეში საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში კანადელი კალათბურთელები დაამარცხა — 79:76.

სხვა ქვეჯგუფებში ბრძოლა გრძელდება და ფინალისტთა ვინაობა, როგორც ჩანს, ბოლო შეხვედრებში გაირკვევა.

იუბილეს კორტებზე

ლატვიის ამ სახელგანთქმულ კურორტზე ამას წინათ გაიმართა ჭაბუკ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი. 120 მონაწილეს შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იყვნენ. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ 1974-1975 წ.წ. დაბადებულთა ტურნირში თბილისელი მოსწავლეები თამრიკო ბერიძე (თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლა) და დავით ოძელაშვილი („დინამო"), რომლებმაც გაიმარჯვეს ერთეულთა თანრიგში.

ვახტ ჟარხელი.

ხსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი თბილისში, 17-21 ივნისს ატარებს ხსრ კავშირის 1988 წლის პირველობას რადიოსპორტში ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკურ სკოლებს შორის.

ასპარეზობა გაიხსნება 18 ივნისს, 11 საათზე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე (ქავქავაძის პრ. 49).



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის რეგბის მოედანი. 9 ივნისი.

„მშენებელი" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 12:7 (6:3).

„მშენებელი": ყორეოლიანი; გაბრიჩიძე (დეისაძე, 76), ლიპარტელიანი, ხარშილაძე, ხამაშურიძე; ძაგნიძე, ლოსაბერიძე; ბაბუნაშვილი, ტურძელაძე, ობოლაძე, გრიგალავა, ლილუაშვილი, ოდიშარია, ნემსიწვერიძე (თხელიძე, 78), ნაჭყებია.

„ლოკომოტივი": დროეინი; ბრატკო, ფირსოვი, ოვჩინიკოვი, რუდენკო; ბუგროვი (კოსტიუკი, 68), კარცევი; ნეზეროშევი, მალიკოვი, პრონინი, ივანოვი, პლოტნიკოვი, ბარანკოვი (კოსტენიჩი, 62), დუტიკოვი, შარკოვი.

მსაჯი ვიტაუტას ვასილენკო (კაუნასი).

გოლები: „მშენებელი" — ლელო (32, ტურძელაძე) რეალიზაციითურთ (ლილუაშვილი), 2 საჯარიმო (55, 74: ძაგნიძე); „ლოკომოტივი" — საჯარიმო (19, ბუგროვი) და ლელო (49, ბარანკოვი).

ამ დღეს ქუთაისში ფეხბურთიც იყო; ამიტომ გულშემატკივართა თხოვნით რეგბისტთა შეხვედრა ადრე დაიწყო და პაპანაქება სიცხეში ჩატარდა; ამას კი არ შეიძლებოდა დაღი არ დაესვა ისედაც უაღრესად დაძაბული ორთაბრძოლისათვის.

მშენებლებმა ორი მეტად რთული გასვლითი მატჩის შემდეგ სრულად ვერ შესძლეს ძალების აღდგენა და მაღალ ტემპში ვერ დაიწყეს თამაში, თუმცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მე-7 და მე-11 წუთებზე მაინც მიეცათ, მაგრამ ჯერ ძაგნიძემ აიცდინა საჯარიმო, შემდეგ მასპინძლებმა მოსკოველთა კარის ხაზთან უხეიროდ გაითამაშეს ბურთი. სტუმრებმა მალე იგრძნეს, რომ ამ დღეს ლიდერი ვერ იყო ჩვეულ ფორმაში და ზედიზედ რამდენჯერმე გადავიდნენ შეტევაზე. მე-19 წუთზე ბუგროვმა საჯარიმო დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი. კონტრთამაშის „შექმნას" ქუთაისელმა რეგბისტებმა საკმაო დრო მოანდომეს. მართალია, ქუთაისელთა „მძიმე არტილერიას" — შერკინების მოთამაშეებს ამ შეხვედრაში ჩვეული უპირატესობისთვის არ მიუღწევიათ, მაგრამ მატჩის ბედი მაინც მათ გადაწყვიტეს და კვლავ „ვალში დატოვეს" სამმეოთხედელები, რომლებიც მეტისმეტად აფერეხებდნენ თამაშს, აჭიანურებდნენ ბურთის გადაცემებს, მხოლოდ ლიპარტელიანის აქტიურობას კი მათთვის შედეგი არ მოუტანია.

32-ე წუთზე სტუმართა 22-მეტრიან ხაზთან დანიშნული შერკინების დროს ბურთი შერკინების შემკვრელმა ნაჭყებიამ გამოიტანა, იგი თითქოს მოკლე ფრთაზე აგრძელებდა შეტევას, და როცა მოსკოველთა მთავარმა ძალებმა იქით გადაინაცვლეს, სწრაფად გაიჭრა გრძელ ფრთაზე. ეს იერიში „მშენებლის" ჰუქერმა ტურძელაძემ მეტოქესთან ჭიდილში ასე საჭირო ლელოს გატანით დააგვირგვინა. ლილუაშვილმა რეალიზაციაც გამოიყენა და მასპინძლებმა შესძლეს ტაიმის მოგება — 6:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში, ქუთაისელთა შეტევის დროს შესანიშნავად ითამაშა სტუმართა მცველმა დროეინმა. მან თავისი კარის ხაზთან ჩაჭრა გადაცემა და უძლიერესი დარტყმით თითქმის მთელი მოედანი „მოიგო". ალამთან გათამაშებული „დერეფნის" დროს მოსკოველებმა ბურთი მოიგეს და ბარანკოვმა საპასუხო ლელოც გაიტანა. სტუმრები კვლავ დაწინაურდნენ — 7:6. დარჩენილ დროში მასპინძლებმა მხოლოდ ძაგნიძის მიერ ზუსტად დარტყმული ორი საჯარიმოთი შესძლეს მატჩის მოგება — 12:7.

ახლა ჩემპიონს უაღრესად პრინციპული და მნიშვნელოვანი გასვლითი თამაში ელის ძირითად კონკურენტთან — სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან და, იმედია, „მშენებლის" თითოეული წევრი გულმოდგინედ მოემზადება ამ შეხვედრისათვის, შეძლებს ძალების აღდგენას და ლიდერთა ამ უკომპრომისო შეხვედრას ჩვეული შემართებით ჩაატარებს.

თაშაზ ხარაბაძე.
(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).
ქუთაისი.

• • •

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 9 ივნისი.

რრკ „ელმავალი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი) 27:3 (21:0).

რრა: ი. ლეჟავა; ხვედელიძე, ჩიქვინიძე, ჭეიშვილი, გეგუჩაძე; თავაძე, ქერაული; შუბითიძე (გიორგაძე, 50), კაკაბაძე (წიკლაური, 59), ბაკურაძე, ხუადე, მექვაბიშვილი, ნარიმანიძე, ღუდუშაური, გ. გიუნაშვილი.

„ფილი": კოროლიხინი; ჩვანოვი, კირიუხინი, სალავათოვი, ადამოვი; კორშუნოვი, ბორისოვი; იუსიმი, სომოვი, ბაგაუტდინოვი, მაკაროვი (ემელიანოვი, 25), ფიოდოროვი, სერგეევი, კორიაბინი, მიშაკოვი.

მსაჯი ზდისლავას გვაზდინსკასი (კაუნასი).

გოლები. რრკ: ლეჟავა — 2 ლელო (9, 38), 4 რეალიზაცია, საჯარიმო (22); ხვედელიძე — ლელო (32); გეგუჩაძე — ლელო (83). „ფილი": კოროლიხინი — საჯარიმო (64).

მეორე წრის ამ პირველ შეხვედრას თბილისელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უშუალო კონკურენტთან გამარჯვებს შემთხვევაში რკინიგზელები ამთავითვე გაინაღდებდნენ ადგილს უმაღლესი ლიგის რვა მოწინავე გუნდს შორის და, ამასთან, გადალახავდნენ ზღუდეს, რომელიც უკანასკნელად 1983 წელს დაძლიეს. მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება მათ შესანიშნავ სტილში მოიპოვეს და დიდი სიამოვნება განაცდევინეს მაყურებელს.

მატჩმა დაგვარწმუნა, რომ თბილისელებმა მიაგნეს თავიანთ თამაშს. სეზონის დასაწყისში მათ ზედმეტად ძალისმიერი თამაშისა და ფეხით დარტყმებით გატაცებისთვის ვუკიჟინებდით, შემდეგ არც ერთთავად ბურთის ხელით გათამაშების აკვიატებასა და პრაქტიკიზმის სრულ არქონას ვუწონებდით, ამჟამად კი სასაყვედურო არაფერი გვაქვს. რეგბის ორი საწყისი — ხელითა და ფეხით თამაში რკინიგზელთა სტილში ჰარმონიულად შერწყმულა. ბოლოდროინდელი შედეგებიც ამას მოწმობს: მართალია, „ფილი" ჯერ მეტად უსირცოდ ასპარეზობს, მაგრამ ალბათ ესეც მალე ჯერ არავისთან დამარცხებულა.

სტანდარტულ სიტუაციებში (ბურთის მოწოდების გამოკლებით) თბილისელთა მორკინალებმა აშკარად დაჯაბნეს მოსკოველები. მწვავე შეტევების წამოწყებისა და მოიერიშის მხარდაჭერის მხრივ პირდაპირ სანიმუშონი იყვნენ ჰუქერი კაკაბაძე და ხელახლა შედგენილი მესამე ხაზის სამეული ნარიმანიძის, უფროსი გიუნაშვილისა და ღუდუშაურის შემადგენლობით. გარე ნახევარმცველმა თავაძემ, ალბათ, თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა. რაც შეეხება უკანა ხაზების სხვა მოთამაშეებს, მორკინალების ძლიერი თამაშის წყალობით მათ ისეთი უპირატესობა მიიღეს, რომ ძალდაუტანებლად გაიტანეს ოთხი ულამაზესი ლელო.

თბილისელთა „ხნაიპერი" ირაკლი ლეჟავა.

და ბაიხეი, თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება მცველთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ეს ირაკლი ლეჟავაა. ხუმრობა საქმე როდია: ჭაბუკმა რეგბისტმა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის მეორე წელსვე ერთ მატჩში გუნდს 19 ქულა შესძინა. მეტიც: თბილისელთა მიერ წელს მოპოვებული 150 ქულიდან 89 ლეჟავას „ანგარიშზე" მოდის. ირაკლიმ უკვე 25 მატჩი ითამაშა. დამრტყმელად და კრიტიკულ სიტუაციებში ოსტატურად გატანილი გოლებით არა მხოლოდ საკუთარი ძალების რწმენა შემატა თანაგუნდელებს, არამედ არაერთი მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ლეჟავა დღესდღეობით უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური დამრტყმელია, რაც ჩვენი გუნდის შემდგომი წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ზაზა ფხაკაძე.

31-ე „დიდი პრიზი"

როგორც ვიუწყებოდით, მექსიკაში, პედრო და რიკარდო როდრიგესის სახელობის ტრასაზე ჩატარდა „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი. გათამაშდა მექსიკის „დიდი პრიზი".

ეტაპი კვლავ სამი მრბოლის მეტოქეობით აღინიშნა. ავტოსპორტის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ ალენ პროსტმა ამჯერადაც შესანიშნავად იასპარეზა და არავის დაუთმო პირველობა. მან 31-ე გამარჯვება იზეიმა. მექსიკის ტრასა პროსტმა 1 სთ. 30 წთ და 16 წმ-ში დაფარა.

ეტაპის საბოლოო შედეგია: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა") — 9 ქულა; 2. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა") — 6; 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 4; მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი") — 3; 5. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-მეგატრონი") — 2; 6. ედი ჩივერი („აშშ, „ეროუზ-მეგატრონი") — 1 ქულა.

ოთხი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ერთპიროვნული ლიდერია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალენ პროსტი, რომელსაც 33 ქულა აქვს. 18 ქულით მეორე ადგილზეა გერჰარდ ბერგერი. აირტონ სენას 15 ქულით მესამე ადგილი უკავია. მიქელე ალბორეტო მეოთხე ადგილზეა — 9 ქულა. მეხუთე-მეექვსე ადგილები 8-8 ქულით უკავიათ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ბრაზილიელ ნელსონ პიკეს („ლოტუს-ჰონდა") და ინგლისელ დერეკ უორვიკს. ბელგიელ ტიერი ბუტსენს („ბენეტონ-ფორდ კოსუორტი") სამი ქულა აქვს, ინგლისელ ჯონათან პალმერს („ტაირელ-ფორდ კოსუორტი") — 2, იაპონელ სატორუ ნაკაჰიმას („ლოტუს-ჰონდა"), იტალიელებს ალესანდრო ნანინის („ბენეტონ-ფორდ კორეოსტი"), რიკარდო პატრეზეს („უილიამს-ჯადი") და ამერიკელ ედიჩივერს — თითო.



კონსტრუქტორთა პირველობაზე ასეთი მდგომარეობაა:

1. „მაკლარენ-ჰონდა" — 48; 2. „ფერარი" — 27; 3. „ლოტუს-ჰონდა" — 9; 4. „ეროუზ-მეგატრონი" — 9; 5. „ბენეტონ-ფორდ კოსუორტი" — 4; 6. „ტაირელ-ფორდ კოსუორტი" — 2; 7. „უილიამს-ჯადი" — 1.

ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი გაიმართება 12 ივნისს, კანადაში, ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაზე.

გასაკვირია, მაგრამ უკვე ოთხი ეტაპი გათამაშდა, ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა კი ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვა, თუმცა ორჯერ მისი „უილიამსი" მეორე რიგში დგა. იგი უკმაყოფილოა „ჯადი"-ს ფირმისა, რომელიც მის გუნდს ამარაგებს ძრავებით.

მონაკოს „დიდი პრიზის" გათამაშების შემდეგ მიცემულ ინტერვიუში მენსელმა განაცხადა, რომ თუ არ შეიცვლება ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა, იგი მიატოვებს სპორტს.

დავით ჩუბინიძე.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 11 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საზეიმო გახსნა — **10.25 (1);** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: 10 ივნისის მატჩის (გფრ — იტალია) მეორე ნახევრის გამეორება — **10.40 (1);** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: დანია (ნაკრები) — ესპანეთი (ნაკრები) — **18.25 (2);** მძლეოსნობა: ძმები ზნამენსკების ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი — **20.20 (2).**

საქართველოს ტელევიზია. ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: დანია (ნაკრები) — ესპანეთი (ნაკრები) — **18.25.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 XX //უე 05386